საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 460 2017 წლის 10 ოქტომბერი ქ. თბილისი

„საქართველოს სასაზღვრო ზოლსა და საბაჟო კონტროლის ზონებში სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების ტექნოლოგიური სქემისა და სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №428 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს სასაზღვრო ზოლსა და საბაჟო კონტროლის ზონებში სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების ტექნოლოგიური სქემისა და სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 31 დეკემბრის №428 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/01/2011, 480180000.10.003.016169) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილი საზღვაო პორტების, აეროპორტების, სახმელეთო სასაზღვრო გადასასვლელების – სასაზღვრო ინსპექციის პუნქტების ნუსხა, სადაც ხორციელდება სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლი“ (დანართი №3) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №3

საერთაშორისო მიმოსვლისათვის გახსნილი საზღვაო პორტების, აეროპორტების, სახმელეთო სასაზღვრო გადასასვლელების – სასაზღვრო ინსპექციის პუნქტების ნუსხა, სადაც ხორციელდება სანიტარიულ-საკარანტინო კონტროლი

საზღვაო პორტები, აეროპორტები, რკ/გ სადგურები, სახმელეთო გადასასვლელები	**საბაჟო გამშვები პუნქტი**
საზღვაო ტრანსპორტზე	
„ფოთისა და ყულევის პორტები“	„ფოთისა და ყულევის პორტები და ფოთის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“
„ბათუმის პორტი“	„ბათუმის პორტი“
საჰაერო ტრანსპორტზე	
„თბილისის აეროპორტი“	„თბილისის აეროპორტი და თბილისის ტექნოლოგიური პარკის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა“
„ქუთაისისა და სენაკის აეროპორტები“	„ქუთაისისა და სენაკის აეროპორტები და ქუთაისის თავისუფალი ინდუსტრიული და ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონები“
„ბათუმის აეროპორტი“	„ბათუმის აეროპორტი“
სარკინიგზო ტრანსპორტზე	
„გარდაბანი“	„გარდაბანი“
„სადახლო რკინიგზა“	„სადახლო-სარკინიგზო“
„კარწახი-ახალქალაქი სარკინიგზო“	„კარწახი-ახალქალაქი სარკინიგზო“

საავტომობილო ტრანსპორტზე	
„წითელი ხიდი“	„წითელი ხიდი“
„გუგუთი“	„გუგუთი“
„სადახლო“	„სადახლო-საავტომობილო“
„ლაგოდეხი“	„ლაგოდეხი“
„ვალე“	„ვალე“
„ნინოწმინდა“	„ნინოწმინდა“
„ყაზბეგი“	„ყაზბეგი“
„სარფი“	„სარფი“
„მტკვარი“	„მტკვარი“
„ახკერპი“	„ახკერპი“
„სამთაწყარო“	„სამთაწყარო“
„კარწახი“	„კარწახი“

“.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2017 წლის 5 ოქტომბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**